დეკემბერი 2023

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი

ექსპერტთა კომენტარი

გამოცემა #25

# რუსეთის ახალი საზღვაო ბაზა ოჩამჩირეში: რისკები და გამოწვევები

რუსეთის უკრაინაში შეჭრამ წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგი მნიშვნელოვნად შეცვალა, განსაკუთრებით კი შავი ზღვის რეგიონში. მიუხედავად საქართველოს მცდელობისა, რუსეთთან დაბალანსებული ურთიერთობა შეენარჩუნებინა, ომის შედეგებმა ქვეყანა ახალი უსაფრთხოების გამოწვევების წინაშე დააყენა, რაც, მათ შორის, ოკუპირებულ ოჩამჩირეში რუსეთის მუდმივი საზღვაო ბაზის გახსნის გეგმებში გამოიხატა. აფხაზეთში რუსეთის ახალი საზღვაო ბაზის გახსნა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი რეგიონის უსაფრთხოებას. განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნულმა ნაბიჯმა შესაძლოა რეგიონი დამატებით კონფრონტაციის სივრცედ აქციოს, რაც, პოტენციურად, საქართველოზე კონფლიქტის შედეგებს კიდევ უფრო გააფართოებს.

**საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის** (GIP) თხოვნით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სხვადასხვა ქვეყნის ექსპერტებმა შემდეგ შეკითხვებს უპასუხეს:

1. *რა ტიპის კონკრეტულ რისკებსა და პოტენციურ გამოწვევებს შეიცავს რუსეთის მიერ ოჩამჩირეში ახალი საზღვაო ბაზის გახსნა საქართველოსა და შავი ზღვის რეგიონისთვის?*
2. *რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ოჩამჩირეში ახალი რუსული საზღვაო ბაზის გახსნას კონფლიქტების მოგვარების ძალისხმევაზე საქართველოსა და ფართო რეგიონში?*
3. *რა ქმედითი ნაბიჯების გადადგმა შეუძლიათ საქართველოს მთავრობასა და ძირითად საერთაშორისო აქტორებს (ნატო, ევროკავშირი და ეუთო) პოტენციური საზღვაო ბაზის თანმდევი უსაფრთხოების გამოწვევების საპასუხოდ და პოტენციური რისკების შესამცირებლად?*

**დოქტ. ტრეისი ჯერმანი,**

*კონფლიქტებისა და უსაფრთხოების პროფესორი, თავდაცვის სწავლების დეპარტამენტი, ლონდონის კინგს კოლეჯი*

ოჩამჩირეში რუსული მუდმივი საზღვაო ბაზის გახსნის გეგმა მნიშვნელოვან რისკებს უქმნის როგორც საქართველოს, ასევე მთლიანად შავი ზღვის რეგიონს. პირველ რიგში, ეს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის შემდგომი კონსოლიდაცია იქნება, რომელიც უკვე „მასპინძლობს“ ორ მუდმივ რუსულ სამხედრო ბაზას - რუსეთის შეიარაღებული ძალების მე-7 ბაზას გუდაუთაში და მე-4 ბაზას ცხინვალის რეგიონში. აღნიშნული სამხედრო ბაზები მოსკოვისთვის თბილისზე გავლენის ინსტრუმენტს წარმოადგენს და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის დომინირებას უწყობს ხელს, რაც, თავის მხრივ, კონფლიქტების მოგვარების მცდელობებს უთხრის ძირს. ოჩამჩირის საზღვაო ბაზაზე მსჯელობა ახალი არ არის: აღნიშნული ბაზის მშენებლობაზე საუბარი 2008 წლის ომის შემდეგაც იყო. თუმცა, რუსეთის უკრაინაში შეჭრამ ამ გეგმებს ახალი ბიძგი მისცა. სევასტოპოლის ბაზის მოწყვლადობიდან გამომდინარე, მოსკოვი შავი ზღვის ფლოტის სხვა ლოკაციაზე გადატანას ცდილობს (რუსეთის შავი ზღვის პორტის - ნოვოროსისკის მსგავსად). რუსული ფლოტის ნაწილის ოჩამჩირეში გადასროლა საქართველოსთვის ომში „ჩათრევის“ რისკებს შეიცავს - კიევმა უკვე განაცხადა, რომ დაგეგმილი საზღვაო ბაზა შესაძლოა უკრაინისთვის ლეგიტიმური სამიზნე გახდეს. ბოლოს, ოჩამჩირის ბაზის გახსნა შავ ზღვაში რუსეთის საზღვაო გავლენას კიდევ უფრო გაზრდის, რაც კრემლისთვის საკუთარი სამხედრო ძალის რეგიონის გარეთ პროექციას უზრუნველყოფს. ამგვარი სცენარი, განვითარების შემთხვევაში, შავი ზღვის რეგიონში, და მის მიღმა, მუდმივ არასტაბილურობას შექმნის როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. მიმდინარე ომმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი შავი ზღვის რეგიონის მნიშვნელობას საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სტაბილურობისთვის. შესაბამისად, საქართველო ყველა ღონე უნდა იხმაროს იმისთვის, რომ ოჩამჩირეში ახალი რუსული ბაზის გახსნის პოტენციური შედეგები სრული სერიოზულობით იყოს აღქმული ისეთი საერთაშორისო აქტორების მიერ, როგორიცაა ნატო და ეუთო.

---

**გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე (გადამდგარი),**

*საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი*

წმინდა სამხედრო-ოპერაციული თვალსაზრისით, ოჩამჩირის საზღვაო ბაზის მშენებლობა საქართველოს უკვე არსებულ რთულ სამხედრო-პოლიტიკურ გარემოს რაიმე დამატებით სასიცოცხლო საფრთხეს არ უქმნის: რუსეთს ისედაც შეუძლია ნებისმიერ დროს გამოიყენოს აფხაზეთის აკვატორია და პორტები თავისი გემებისთვის, ისევე, როგორც თავს დაესხას საქართველოს დანარჩენ ტერიტორიას სამხედრო გემებით, თუნდაც უეცარი თავდასხმის ან ღია ზღვის საშუალებით. აქ მნიშვნელოვანია საქართველოს სანაპიროზე

რუსული ბაზის არსებობის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები, რაც მნიშვნელოვნად შეაფერხებს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას და პარტნიორი სახელმწიფოების გემების ვიზიტებს. ის ფაქტი, რომ რუსები საერთოდ არ საუბრობენ ბაზის გახსნაზე და ამ საკითხს მხოლოდ აფხაზური მხარე აჟღერებს, შესაძლოა იმის ნიშანი იყოს, რომ რუსეთი ამ ეტაპზე ახალი საზღვაო ბაზის გახსნის გეგმებს საქართველოსთან პოლიტიკური ვაჭრობის იარაღად იყენებს. გარდა ამისა, ოჩამჩირის ახალი საზღვაო ბაზის გარშემო დისკუსიები ასევე ხელს შეუშლის კონფლიქტების მოგვარების მცდელობებს საქართველოსა და მთლიან რეგიონში, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის დაძაბულობას. საბოლოოდ, რუსეთი მხოლოდ ძალას აღიარებს. ამიტომ, აღნიშნული ქმედების საპასუხოდ, საქართველოს პარტნიორების მხრიდან სამხედრო ბაზის შექმნის დაანონსება ერთადერთ შემაკავებელ ღონისძიებად მიმაჩნია. ამასთან, საქართველოს თავდაცვის ძალებმა უნდა გადახედონ არსებულ სამოქმედო გეგმებს და ისინი ახალ რეალობას მოარგონ.

**ანდრეი მაკარიჩევი,**

*პროფესორი, იოჰან შუტეს სახელობის პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტი, ტარტუს უნივერსიტეტი*

ოკუპირებულ აფხაზეთში რუსული საზღვაო ბაზის გახსნის განახლებული გეგმა საქართველოსთვის ორ რამეს ნიშნავს. პირველ რიგში, ეს ბოლოს მოუღებს საქართველოს ხელისუფლების გულუბრყვილო მოლოდინებს, რომ უკრაინის წინააღმდეგ ომში ნეიტრალური პოზიცია ქართულ სახელმწიფოს ხელშესახებ შედეგებს მოუტანს. აღნიშნული ნაბიჯით ცხადი გახდა, რომ მოსკოვი არ აპირებს თბილისის დაჯილდოებას საერთაშორისო სანქციებთან მიერთებისგან თავშეკავებისა და რუსეთ-საქართველოს შორის საჰაერო მიმოსვლის აღდგენის გამო. კრემლის აღქმით, აღნიშნულ ჟესტებს მცირე გეოპოლიტიკური და უსაფრთხოების მნიშვნელობა აქვს რუსულ სამხედრო ინტერესებთან შედარებით. მეორე, ოჩამჩირეში ახალი ბაზის გახსნა საქართველოსთვის ომთან მეტად მიახლოებას ნიშნავს და განხორციელების შემთხვევაში, შავი ზღვის ნებისმიერ სახელმწიფოს ომის შედეგებისგან დისტანცირების გაცილებით ნაკლები შესაძლებლობა ექნება. აღნიშნული ნაბიჯით რუსეთს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე თავისი საზღვაო ფლოტის მნიშვნელოვანი ელემენტები შემოაქვს, რომელიც, შესაძლოა, უკრაინის შეიარაღებული ძალების სამიზნე გახდეს, მათ შორის, ქვეყნის დასავლელი მოკავშირეების თანხმობით. ბუნებრივია, ამ ორი პუნქტიდან არც ერთი არ ზრდის საქართველოს უსაფრთხოებას. უფრო მეტიც, ორივე მათგანი ახალ წინაპირობებს ქმნის მომავალში რუსეთის

მიერ აფხაზეთის პირდაპირი ანექსიისთვის, უკრაინის ლუგანსკისა და დონეცკის რეგიონების მსგავსად.

**თორნიკე თურმანიძე,**

*პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; უფროსი მკვლევარი, საქართველოს საერთაშორისო და სტრატეგიული კვლევების ფონდი (რონდელის ფონდი)*

უკრაინაში რუსეთის შეჭრისა და კიევის მხრიდან რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ყირიმიდან გაძევების ბოლოდროინდელი წარმატებული სამხედრო კამპანიის შემდეგ, ცნობილი გახდა რუსეთის გეგმის შესახებ, თავისი საზღვაო ფლოტის ნაწილი სევასტოპოლიდან ოჩამჩირეში გადაიტანოს, რამაც პოტენციურად, შესაძლოა, სამხედრო მოქმედებების საქართველოს ტერიტორიაზე გავრცობა გამოიწვიოს. აღნიშნული ნაბიჯი, რუსეთს უკრაინის წინააღმდეგ სამხედრო კამპანიისთვის საქართველოს ტერიტორიის გამოყენების საშუალებას მისცემს, რაც ოჩამჩირის საზღვაო ბაზას უკრაინული ძალების ლეგიტიმურ სამიზნედ აქცევს. მსგავსი ტიპის ქმედება საფრთხეს უქმნის აფხაზეთის მოსახლეობის, მათ შორის ოკუპირებული გალის რაიონში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების, სიცოცხლესა და უსაფრთხოებას. გარდა ამისა, პოტენციურად, კონფლიქტი შესაძლოა ახლომდებარე სამეგრელოს რეგიონშიც გავრცელდეს, რაც საფრთხეს შეუქმნის საერთაშორისო ვაჭრობას ფოთის პორტის გამოყენებით და შეაფერხებს ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობას. ამრიგად, ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთის გაზრდილი სამხედრო წარმომადგენლობა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის დამატებით სამხედრო და ეკონომიკურ საფრთხეებს ქმნის და შავი ზღვის რეგიონის დესტაბილიზაციას უწყობს ხელს. გარდა ამისა, რუსეთის ნებისმიერი დამატებითი სამხედრო კონტინგენტი საქართველოს ოკუპირებულ რეგიონში, და მესამე სახელმწიფოზე თავდასხმის მიზნით ამ ტერიტორიის გამოყენება, ასევე არღვევს 2008 წლის ექვსპუნქტიანი ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას და პოტენციურად აფერხებს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების (GID) ფორმატში რუსეთ-საქართველოს შორის მიმდინარე დისკუსიებს. აღნიშნული ნაბიჯი ასევე ართულებს გალში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) შეხვედრების აღდგენას. ყოველივე ამის საპასუხოდ, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობამ მართოს თავის ტერიტორიაზე რუსეთის შავი ზღვის ფლოტის განლაგებასთან დაკავშირებული რისკები და სტრატეგიული პარტნიორებისგან დამატებითი დახმარება მოითხოვოს. თბილისს, სულ მცირე, შეუძლია ბრიუსელს საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) გაძლიერება სთხოვოს, სამეგრელოს რეგიონის შავი ზღვის სანაპიროზე საზღვაო პატრულირების დამატების სახით, რომელიც რუსული სამხედრო გემების მხრიდან პროვოკაციების თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანი ბერკეტი იქნება.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

ექსპერტ კომენტარში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.

**დოკუმენტის ციტირების წესი:**

***„რუსეთის ახალი საზღვაო ბაზა ოჩამჩირეში: რისკები და გამოწვევები,“*** ექსპერტთა კომენტარი #25, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, დეკემბერი 2023.

© Georgian Institute of Politics, 2023
Tel: +995 599 99 02 12
Email: info@gip.ge
For more information, please visit
www.gip.ge